

სამიზნე ცნება - ენერგია და ურთიერთქმედება, კვლევა

საკითხი - 1. ომის კანონი წრედის უბნისთვის (მიმღვერობითი და პარალელური შეერთება);

2. ელექტრული დენის მუშაობა და სიმძლავრე;

- (ფიზ.საბ. 4, 5, 6, 7, 8, 9)

კომპლექსური დავალების პირობა: სახლში მოტანილ ნათურებს ანდრიამ გაკვირვებით შეხედა ;რა ეს ხომ ლედ ნათურებია იგი საკმაოდ ძვირი ღირს, ნუთუ ჭაღზე 12 ცალ 60 ვტ ნათურებს იგივე რაოდენობის ლედნათურებით შეცვლით?“ მიეხმარეთ ანდრიას და დაუსაბუთეთ პრეზენტაციის სახით რატომაა უკეთესი ამ ნათურების გამოყენება და როგორ აისახება მათი გამოყენება ოჯახის ბიუჯეტზე.

ნაშრომში ხაზგასმით წარმოაჩინეთ:

- რა კავშირია დენის ძალას, ძაბვასა და წინაღობას შორის?
- როგორ უნდა იყოს შეერთებული ნათურები თქვენს ჭაღზე ყველა ერთად რომ არ აინთოს?
- როგორ ფიქრობთ რა სახის ენერგიებად გარდაქმნით ელექტროენერგიას თქვენს ბინაში?
- როგორ ფიქრობთ რა დადებითი და უარყოფითი მხარეები აქვს ლედ ნათურებს?
- როგორ ფიქრობთ რატომ და როგორ უნდა დაგზოგოთ ელექტროენერგია?

ნაშრომი პრეზენტაციისას წარმოაჩინეთ:

1. რა სიმძლავრეს გამოიმუშავენს 12 ცალი 60ვტ- იანი ჩვეულებრივი ნათურები?
2. რა სიმძლავრეს გამოიმუშავენს 12 ცალი 60ვტ- იანი ლედ ნათურები?
3. გამოთვალეთ დახარჯული ენერგია ორივე შემთხვევისათვის.
4. მოიძიეთ 1კვტსთ -ის ღირებულება და გამოთვალეთ ნათურების შემთხვევაში დანახარჯი.
5. მოახდინეთ შედარება
6. დასკვნა

პრაქტიკული რჩევები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისთვის: ნათურების შერჩევაში გამოყენების თვალსაზრისით დაგეხმარებათ [ვიპერლინკი 1](#)

საკითხის უკეთ დასამუშავებლად გამოიყენეთ: [ჰიპერლინკი 2](#) სიმულაციის გამოყენებით
ნაატარეთ ცდა შეავსეთ ცხრილი და გააკეთეთ დასკვნები: ცდები